

2018

30 დეკემბერი

#1



ARCHEOLOGIA
არქეოლოგია

არქეოლოგია

ევროპის უნივერსიტეტის
აკადემიკოს ა. აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის
ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი ჟურნალი

აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის ემბლემის წარმომავლობა და შინაარსი

გურამ კიფიანი

პროფესორი,

პალეოურბანული კვლევების ლაბორატორიის ხელმძღვანელი,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

guram_kipiani@iliauni.edu.ge

აბსტრაქტი

სტატიაში წახმოდგენილია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძართან აღმოჩენილი ანგეფიქსის წახმომავლობა და შინაარსი, რომელიც აკად. ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის „ღოგო“-ს დაედო საფუძვლად.

2000 წლის მანძილზე, სვეტიცხოვლის ეზოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს საპატრიარქო ინტენსიურ სამუშაოებს აწარმოებდა მისი კეთილმოწყობის მიზნით. მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი ვადებუდი იყო მეთვადყუხეობა გაეწია სამუშაოებისათვის, ხათა აღენუსხა და დაეფიქსიხებიან თითოეული აღმოჩენის პუნქტი.


საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიოხგი ნიოხაძის სახელობის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტმა (ხელმძღვ. აკად. ანდრია აფაქიძე) თიხის ანგეფიქსს სვეტიცხოვლის ტაძრის დასავლეთით, მისგან ხუთიოდე მეტრის დაშორებით მიაკვლია. ანგეფიქსი ხელიეფუხია და ყადიბში ჩაწნეხვითაა მიღებული. მის ფაჩზე გამოსახულია კვაჩცხბბეკზე აღმაჩთუდი „სიცოცდის ხე“, რომდის ქვედაშვებუდი ხგოები „ბხოწუედებითა აღჭუხვიდი, ხოდო წვეხი სამად განტოცვიდი. მის ქვემოთ ჭხის განივი მკდავებია გამოსახუდი. „სიცოცხდის ხის“ მსგავსი მოტივები მთედს აღმოსავლეთს ახასიათებს, მაგჩამ მისი გვიანხეთუხი სახე განივი მკდავებითაცაა აღჭუხვიდი. აღნიშნუდი მოცემუდობით შეიძლება ვიფიქხოთ, რომ სვეტიცხოვდის ნიმუშზე „ჭვაჩი“ დანამაგი კი აჩა, მოტივის ტჩანსფოჩმაციის შედეგია.

ანგეფიქსი, შინაარსიდან გამომდინაჩე, ფჩიად საყუხადლებო ნიმუშია. მისი ჩამდენადმე მიახდოებუდი პაჩადედი უცნობია. გამოსახუდების სიმაჩტივისა და დაკონიკუხოების მიუხედავად იგი თხიობითი ტექსტის შემცვედია, გვამცნობს დიადოგის პხოცესს სიცო-

ცხდის ხესა და ჯვახს შოხის, ანუ სვეტიცხოველსა და ძედს შოხის. დათაჩილების თვადსაბ-
 ხისით, ანტეფიქსი აფექსისტიანურ ხანაშია შექმნილი, სავახაუდოდ IVსაუკუნეში.

საკვანძო სიტყვები: არქეოლოგია, სვეტიცხოველი, ანტეფიქსი, ემბლემა, სიმბოლო

გამოსახულება, რომელიც აკად. ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინ-
 სტიტუტის „ლოგო“-ს დაედო საფუძვლად ანტეფიქსზეა ასახული, მისი დაბალი რელი-
 ეფის „გრაფიკა“ დახვეწილია და თითქმის არავითარი სტილისტური ცვლილება არ გა-
 ნუცდია მისი ემბლემად გააზრებისათვის.



გამოსახულება სიმბოლოა, სიმბოლო კი ძი-
 რეულად განსხვავდება „ნიშანი“-საგან. სიმბოლო
 თავის თავში შეიცავს წარმოდგენების კომპლექსს,
 რომელიც წაკითხვადია მათთვის, ვინც ზიარე-
 ბულია ენას, ანუ ვინც გაცნობიერებულია ძველი
 სამყაროს აზროვნების სისტემებში (ცხადია ისიც,
 რომ უკიდურესი სირთულის გამო, ეს გაცნობიერე-
 ბა ბოლომდე სრულყოფილი შესაძლოა არც იყოს).

ნიშანი კი წაკითხვადია ყველასათვის, რადგან
 იგი გამოსახულებით იმეორებს საგნებს. ნიშანი
 გავს საგანს და მასში არ იმალება სისტემური და
 სიმბოლური აზროვნება. თუ მაგალითად რომელი-
 მე ნაგებობის კედელზე ვხედავთ ნახევარმთვარის
 გამოსახულებას ეს მხოლოდ ნიშანია და ასახავს
 სწორედ იმას, რასაც ის გავს, ანუ მთვარეს.

ანტეფიქსი მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის
 დასავლეთით, მისგან ხუთიოდე მეტრის დაშორებით, საქართველოს მეცნიერებათა
 აკადემიის გიორგი ნიორაძის სახელობის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტმა მია-
 კვლია, რომელიც ტაძრის გარშემო მიმდინარე კეთილმოწყობის სამუშაოებს მეთვა-
 ლყურეობას უწევდა ბატონ ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის, თუ რა აღმოჩნდა აქ კიდეც 2000 წელს¹, მგო-
 ნია, რომ მათი ჩამონათვალით უფრო ნათელი სურათი უნდა შეგვექმნას, თუ რა პრო-
 ცესები წარიმართა „სამოთხეში“ ანუ „სამეფო ბაღში“ იქ, სადაც ახლა სვეტიცხოვლის
 ტაძარია აღმართული.

ტაძრის გალავნის სამხრეთის კედელში, გარე მხრიდან ჩაშენებული იყო სვეტის
 დოლი, იგი 12 კანელურს შეიცავს, ხოლო მათ შორის ბილიკები (striarum) მახვილი კუ-
 თხითაა ჩადარული. გამოიყოფა სვეტის ფუძეც, ჰორიზონტალური „სარტყლით“. ამდა-
 გვარი სვეტის დოლები, ე.ი. ისეთნი, რომელთა სტრიარუმები ჩადარულია ვერტიკალუ-
 რად, არაერთია აღმოჩენილი „დიდი მცხეთის“ ტერიტორიაზე², მაგრამ მათი თარიღის

1 გ. ყიფიანი, სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები. მცხეთის არქეოლოგიის
 ინსტიტუტის 2000 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები – „ანგარიშები“, თბ. 2001. გვ. 40-
 44; გ. ყიფიანი წმინდა ნინო და ძველი საქართველოს დედაქალაქი, თბ. 2002.

2 გ. ლეჟავა, ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, თბ. 1979. ტაბ. LIX; გ. ყიფიანი,
 არქიტექტურული დეტალები, თბ. 1979. გვ. 44-45, ტაბ. XXIX.

დადგენა (მეტ-ნაკლები) სიზუსტით ყოველთვის ჭირდა, რადგან უცნობი იყო არქეოლოგიური კონტექსტი. ასევეა ეს ჩვენს შემთხვევაშიც.

ამასთანავე ჩაკვეთილი „ბილიკები“ კანელურებიან სვეტებზე ერთგვარი არქაული ტრადიცია³. ელინისტური ხანის ამდაგვარი სვეტი ჩემთვის უცნობია⁴.

გალავნის დასავლეთ კედელთან ნაცრისფერი ქვიშაქვის სვეტის ბაზისის ფრაგმენტი გამოვლინდა. იგი პროფილირებულ პლინტუსს შეიცავს. მისი ფორმა და შედგენილობა მხოლოდ გვიანანტიკურ ხანაზე მიგვანიშნებს – კვადრატული პლინტუსი, ნაოთხალი ლილვი, კვადრატული პლინტუსი, მასზე დაფუძნებული ცილინდრი, სკოცია და ცილინდრი (ქვემოდან ზემოთ).

მის სიახლოვეს კიდევ ერთი სვეტის ბაზისი გამოვლინდა ე.წ. ლილვისებური. სრულფასოვანი ლილვი მაღალ კუბზეა დაფუძნებული ლილვიანი ბაზისების (მათ შორის, ნაოთხალი ლილვიანი) არეალი უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავს, თითქმის მთელს აღმოსავლეთს. მათთვის ვერც მკაცრი ქრონოლოგიური ჩარჩო დასტურდება⁵. ლილვიანი ბაზისები X საუკუნის ჩათვლითაც კი გვხვდება, ხოლო აქ კუბური „პლინტუსი“ მის რამდენადმე უჩვეულო იერზე მიგვანიშნებს.

ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან მოყვითალო კირქვის ფრიზის ფრაგმენტიც გამოვლინდა კარნიზითურთ. აქ ის ჩანს, რომ მასში გვიანრომაული ხანის აღმოსავლური პროვინციებისათვის დამახასიათებელი დეკორატიული სახეებია თავმოყრილი. კარნიზზე ქვედაშვებულ და ზეაღმართულტანიანი პალმეტები მონაცვლეობენ⁶. ფრიზში კი ასახულია აკანთოსის მსგავსი „სიცოცხლის ხე“ დერივატებითურთ (ზოგიერთი სახე სრულად იმეორებს ბოლნისის სიონის დეკორატიული პლასტიკის ელემენტებს).

აქვე იქნა მიკვლეული მარკირებული კირქვის კვადრი (Δ), უნდა აღინიშნოს, რომ სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორიაზე ბერძნული ასო-ნიშნებით აღნიშნული ქვათლილები სხვა დროსაც არაერთხელ აღმოჩენილა.

თიხის ანტეფიქსი კი, რომლის გამოსახულება ინსტიტუტის „ლოგო“-ს დაედო საფუძვლად რელიეფურია და ყალიბში ჩაწნეხვითაა მიღებული.

„სიცოცხლი ხე“ კვარცხლბეკზეა დაფუძნებული. ასეთი შემთხვევები საკმაოდ დასტურდება აღმოსავლეთის სიმბოლურ გამოსახულებებში, ასევე ხშირია ხეთა სამწვერა დაბოლოებანი, ჩვენი შემთხვევის ანალოგიურნი, და რაც მთავარია „ხეები“ შეიცავენ ნაყოფს⁷, პირობითად ბროწეულებს, როგორც გარკვეული სიმბოლური აზრის შემცველთ⁸ (ასეა ეს ჩვენს ნიმუშშიც).

რომ არა განივი მკლავები ჩვენს ანტეფიქსზე იგი შესაძლოა მიგველო ასურული სიცოცხლის ხის ერთ-ერთ ვარიანტად. განივი მკლავებითაა სწორედ „ხე“ შერწყმული ჯვართან.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გვიანხეთურ სამყაროში ცნობილია „სიცოცხლის

3 И. Р. Пичикийн, Малая Азия – Северное Причерноморье, М. 1984, гл. 154. сур. 55.
 4 ერთადერთი შემთხვევა ანალოგიური სვეტისა (მინიატურული პილასტრისა) ტაქსილადანაა ცნობილი, ძვ. წ. II-ისა, იხ. Sir J. Marschall. Taxila III Cambridge, 1951. pl. 214. N25; თანადროული ძეგლებიდან ანალოგები ავტორისთვისაც უცნობია. იხ. მისივე: Taxila, I. გვ. 695.
 5 И. Р. Пичикийн, Торovidные базы (происхождение хронология) в кн. КИНСАДН, М. 1979.
 6 შდრ. მაგ. ბაალბეკის ტაძრის კარნიზებს. G. Durm, Die Baukunst der Römer. Stutgard 1905. გვ. 27. ფიგ. 464d.
 7 S. Parpola, The Assyrian tree of life. YNES, v. 52, 1993, N3. 200-201.
 8 Y. Cooper, Lexikon Alter Symbole. გვ. 10, 132.

ხის“ განივი მკლავებით აღჭურვაც⁹. ამდენად შესაძლოა, რომ განივი მკლავები, როგორც ჯვრის ასახულობა დანამატი კი არაა „ხისა“, არამედ სქემის ტრანსფორმაცია.

ასეა თუ ისე ჩვენს წინაშე ფრიად საყურადღებო ნიმუშია. მისი რამდენადმე მიახლოებული პარალელი უცნობია. გამოსახულებას სიმარტივისა და ლაკონიკურობის მიუხედავად იგი თხრობითი ტექსტის შემცველია. გვამცნობს დიალოგის პროცესს სიცოცხლის ხესა და ჯვარს შორის, ანუ სვეტიცხოველსა და ძელს შორის¹⁰.

აკად. ა. აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი ძველი და ახალი სამყაროების გამომზეურებას, შესწავლასა და საზოგადოების აზროვნების სისტემაში მათ ჩართვას ისახავს მიზნად.

ანტიფიქსის სიმბოლური გამოსახულება, ხომ წარსულსაც გადმოგვცემს „სიცოცხლის ხის“ (სამყაროს ხის – arbor vitae) სახით და ჯვრის ანუ ამ შემთხვევაში განივი მკლავების სახით, ახალი, წიგნიერი რელიგიის დაფუძნებასაც საქართველოში, და თუ გნებავთ დიალოგსაც სამყაროებს შორის.

ინსტიტუტი კი სწორედ დიალოგისაკენაა მოწოდებული, ეს უნდა იყოს დიალოგი წარსულსა და თანამედროვეობას შორის, რაც გულისხმობს იმას, რომ წარსულის ყოველი გამოვლინება უნდა მიეზღოს საზოგადოების აზროვნებასა და ქმედებებს. ანუ წარსულით ნაკარნახევი მომავლის შექმნას. თანამედროვეობა, რაც ტვირთულობს თავის წარსულს ყველა თავის გამოვლინებად, მხოლოდ მაშინ ფლობს იგი განვითარებადობას.



გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლეჟავა გ., ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები. თბილისი 1979.
2. ყიფიანი გ., არქიტექტურული დეტალები. თბილისი 1979.
3. ყიფიანი გ., სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები. მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის 2000 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები – „ანგარიშები“. თბილისი 2001.
4. ყიფიანი გ., წმინდა ნინო და ძველი საქართველოს დედაქალაქი. თბილისი 2002.
5. Cooper Y., Lexikon Alter Symbole. Leipzig 1986.
6. Durm G., Die Baukunst der Römer. Stuttgart 1905.

9 E. und R. Wurz, Die Entstehung der Säulenbasen des Altertums unter Berücksichtigung verwandter Kapitelle, ZGA. Bl. 15, Heidelberg. 1925. გვ. 101, სურ. 260.

10 შდრ. А.А. Иерусалимская, Находки христическо култа в могильнике Мощевая Балка, ст. 103-104. წიგნში: Художественные памятники культуры Востока, Ленинград 1985.

7. Marschall Sir J., Taxila III Cambridge, N25. 1951.
8. Parpola S., The Assyrian tree of life. N3. YNES, v. 52, 1993.
9. Wurz E. und R., Die Entstehung der Säulenbasen des Altertums unter Berücksichtigung verwandter Kapitelle, ZGA. Bl. 15, Heidelberg. 1925.
10. Иерусалимская А.А., Находки христиснско култа в могильнике Мощевая Балка, Художественные памятники культуры Востока, Ленинград 1985.
11. Пичикян И.Р., Малая Азия – Северное Причерноморье. Москва 1984.
12. Пичикян И.Р., Торovidные базы (происхождение хронология) в кн. КИНСАДН. Москва 1979.

The Origin and Content of the Emblem of the European University’s Academitian Andria Apakidze Archaeological Institute

Guram Kipiani

Professor at Ilia State University

Head of Paleo-Urban Laboratory at Ilia State University, Georgia

guram_kipiani@iliauni.edu.ge

ABSTRACT

The article explores the origin and features of the antefix discovered near the Svetitskhoveli Cathedral in Mtskheta, which served as the inspiration for the “Logo” of the European University’s Acad. Andria Apakidze Archaeological Institute.

For over 2000 year, Patriarchate of Georgian has carried out intensive work in the courtyard of Svetitskhovli and its surrounding area in order to embellish it. The Mtskheta Institute of Archaeology was obliged to supervise the works in order to describe and record each discovery point.

The Mtskheta Institute of Archaeology (Head: Acad. Andria Apakidze) traced the clay antefix to the west of the Svetitskhovli temple, five meters away from it. The antefix is embossed and molded, featuring a “Tree of Life” on a pedestal. It’s lower branches are adorned with “pomegranates”, and it is crowned with a three-pronged tip. Below it, there is the transverse arms of the cross. The “Tree of Life” motifs are common across the East, but this particular version, with the cross-like arms, is typical of the late Hittite style. In reference to the situation discussed, we can think that the “Cross” on the Svetitskhoveli sample is not an addition, but a result of the transformation of the motif.

The antefix, depending on the content, is a noteworthy, with few known parallels. Despite the simplicity and brevity of the image, it contains a narrative text, informing us of the dialogue process between the “Tree of Life” and the “Cross”. In terms of dating, the antefix was created in the pre-Christian era, probably in the 4th century.

KEYWORDS: ARCHAEOLOGY, SVETITSKHOVELI, ANTEFIX, EMBLEM, SYMBOL